

მრავალს დაესწარი!

ანემო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!..

საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმომი,
დღემდღი ბეჭდუნი სიფყვას,
ფაქილებით და ჭებრებით ბუტის
გაფანა ყულა უკადრისმბაზე
უსამაგლესია.



დაარსებულია
1918 წელს.



პარასკევი, 31 დეკემბერი, 2010 წელი.

№245 (6611)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



ქართველი თოვლის პაპა:
ღმერთმა
გვამრავლოს



2010 წელს საქართველოში 57 698 ბავშვი დაიბადა.
სამოქალაქო რეესტრის ინფორმაციით, აღნიშნული
მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით მაღალია. წელს
დაბადებული ბავშვების უმეტესობა ბიჭია.
რომ გასულ, 2009 წელს საქართველოში სულ 56 515
ბავშვი დაიბადა და მათი უმეტესობა გოგო იყო.
ღმერთმა გვიმრავლოს გოგონებიცა და ბიჭებიც!..



**ანგელო აშკარად არა გვწყალობს,
ისევ მომავლის იმედად დავრჩით!**

საქართველოს რესპუბლიკა

3

© სოციოლოგიური გამოკითხვა

**რესპონდენტთა უმრავლესობას შეეკლად
იღია მეორის ხილვა სურს**

სოცმოლუმბიზმ გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთა უმრავლესობას მეკვლედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ხილვა სურს. ასეთი შედეგი მიიღო გამოკითხვაში „საქართველოს სოციალური სიტყვის“ სოცოლოგიურმა სამსახურმა, რომელმაც თბილისში გამოკითხვა 15 ნოემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით აწარმოა.

პირობებზე, „ვის ისურვებთ 2011 წლის 1 იანვარს მეკვლედე?“ გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა – 55,21%-მა განაცხადა, რომ მეკვლედე უწმინდესის ხილვას ისურვებდა. გამოკითხულთა 9,45%-ს მეკვლედე ნანა კალატოზიშვილი სურს, 5,97%-ს – თემურ ქეცბაია, 5,97%-ს – ზურა ყიფშიძე, 4,98%-ს – რუსუა მაყაშვილი, 4,98%-ს – ანრი ჯოხაძე, 4,98%-ს – დეტა სხინტლაძე, 4,98%-ს – სოფო ნიჟარაძე, 3,98%-ს კი – სოფო ხალვაში.

გაზეთის სოციოლოგიურმა სამსახურმა მოქალაქეებს სხვა შეკითხვებითაც მიმართა, მათ შორის – წლის ადამიანის თაობაზე. 26,5%-ით ამ შემთხვევაშიც კათოლიკოს-პატრიარქი ლიბეროზს. მას 22,5%-ით – მიძინა ივანე მჭედლო, 10%-ით – პაატა ბურჭულაძე, 9%-ით – მიხეილ სააკაშვილი, 7,5%-ით – შალვა ნათელაშვილი, 5%-ით – თემურ ქეცბაია, ზურა ყიფშიძე, 1,5%-ით – ნიამ დიასამიძე, ზურა მოსიაფა, კახი კახსაძე, ვანო ჯავახიშვილი, ოშკა კიკაძე, 1%-ით – ნანი შრეგვაძე მოსდევნენ; 6%-ისთვის კი წლის ადამიანი არავინაა.

რაც შეეხება წლის „ყველაზე გამჭრიახ პოლიტიკოსს“, გამოვითხულობთ უმრავლესობის — 16,92%-ის აზრით, ასეთი აზრ-
ვინაა; 14,43%-ს ასეთად ირაკლი ალა-
სანიძე მიაჩნია, 12,44%-ს — შალვა ნათე-
ლაშვილი, 11,44%-ს — მიხეილ სააკაშ-
ვილი, 10,99%-ს — გიორგი თარგამაძე,
9,45%-ს — გიგი უგულავა, 4,98%-ს — გრი-
გოლ ვაშაძე, 3,98%-ს — გიგა ბოკერია,
3,98%-ს — ვანო მერამიშვილი, 3,98%-
ს — დავით ბაქრაძე, 3,48%-ს კი — ელიზ-
ბარ ჯაფარიძე.

ამასთან, წლის შეურნალისტად 20,94%-ით ნანუკა შორჭოლიანი დასახელდა; 16,75%-ისთვის წლის შეურნალისტად ვახო სანაიაა, 13,09%-ისთვის – არნახინი, 12,57%-ისთვის – მაია ასათიანი, 7,85%-ისთვის – ინგა გრიგოლია, 6,82%-ისთვის – ეკა ხოფერი, 6,28%-ისთვის – ზაალ უდუმაშვილი, 4,19%-ისთვის – დავით კიკელიშვილი, 2,62%-ისთვის – გოდერძი შარაშია, 2,62%-ისთვის – აკაკი გოგიჩაშვილი, 2,09%-ისთვის – ნინო ქუჩაია, 1,57%-ისთვის – გვანცა დარასელია, 2,09%-ისთვის – დავით კაკუღია, 0,52%-ისთვის კი – ვანო ჭავჭავაძე.

წლის მსახიობ ქალად გამოვითხულ-
თა 17,5%-მა მარინა კახიანი დაასახე-
ლა, 15,5%-მა – თათული ედიშერაშვილი,
15,5%-მა – რუსუკა მაყაშვილი, 9,5%-მა –
ნანკა კალატოზიშვილი, 9%-მა – ნა-
ნული სარაჭიშვილი, 8%-მა – ია სუხი-
ტაშვილი, 7,5%-მა – ლელა მემურაშ-
ვილი, 6,5%-მა – ნანუკა ხუსკივაძე, 4%-
მა – ლიკა ქაფჩარაძე, 2,5%-მა – ნინე-

ლი ჭანვეჭეტაძე, 1,0%-მა – ევა კახიანი, 1,0%-მა – ნატა მურვანიძე, 2,5%-მა კი – არაფინ.

რაც შეეხება წლის მსახიობ მამაკაცს, გამოკითხულთა უმრავლესობისთვის – 12,5%-ისთვის წლის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი **ზურა ციფშიძეა**, 12%-ისთვის – **დუტა სხინტლაძე**, 10%-ისთვის – **ვახი კავსაძე**, 8%-ისთვის – **გოგა ბარბაქაძე**, 7%-ისთვის კი – **ჯემალ ღაღანიძე**.

გარდა ამისა, გამოვლენილია წლის მიზნებსმეორე. გამოკითხულთა 25,5%-მა წლის მიზნებსმართვად მიძინა ივანეშვილი დასახელა, 14,5%-მა – მიხო სვიმონიშვილი, 12,5%-მა – ლადო გურგენიძე, 12%-მა – თემურ ჭყონია, 11,5%-მა კი – ვასილ ფხაკაძე.

წლის უგემოვნო ადამიანი 20,92%-ით
ნინო ჩხეიძე გახდა, 19,9%-ით – **ნინა
 წერიალაშვილი**, 15,3%-ით – **შორენა მე-
 გაშვილი**, 12,76%-ით – **ნინო ბურჯანაძე**,
 10,71%-ით – **მიხეილ სააკაშვილი**, 7,14%-
 ით – **ვახა ბენდუქიძე**, 2,04%-ით – **ნა-
 ტო გელაშვილი**, ხოლო 17,88%-ს კითხ-
 ვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა.

წლის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად გამოკითხულთა უმრავლესობამ – 18,10%-მა ფასების ზრდა დაასახელა, 14,29%-მა – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 12,38%-მა – სოფელ პერევიდან საოკუპაციო ჯარის გასვლა, 10,95%-მა – საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ევროკავშირში, 10,95%-მა კი – ევროკავშირის მიერ რუსული ოკუპაციის აღიარება.

ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა – 46,73% წლის სკანდალად იმიტირე-



ბელ „ქრონიკას“ ასახელებს, 19,60% – „ენგერს“, 11,56% – სააკაშვილისა და გაჩეჩილაძის საიდუმლო შეხვედრების დეტალების გახმაურებებს, 7,54% – გიგო უგულავას მერად არჩევას, ხოლო 6,03% – არშემდგომ „სახალხო კრებას“.

მოქალაქეებს ასევე წლის პარტია უნდა დაესახელებინათ, თუმცა გამოვითხულთა უმრავლესობამ 27,32%-მა **არც ერთი პარტიას არ მისცა ხმა**. 19,07%-ისთვის წლის პარტია **„ნაციონალური მოძრაობა“** გახდა, 18,56%-ისთვის – **„ლეიბორისტული პარტია“**, 14,95%-ისთვის – **„თავისუფალი დემოკრატები“**, 11,85%-ისთვის – **„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“**, 4,64%-ისთვის – **„ქართული პარტია“**, 1,55%-ისთვის – **„კონსერვატიული პარტია“**, 1,03%-ისთვის – **„ხალხის პარტია“**, 1,03%-ისთვის კი – კონსერვატიული გამსახურდიას **„თავისუფლოება“**.

გაზეთ „ქართული სიტყვის“ სოციალო-
გიურმა სამსახურმა თბილისში გამოკითხვა
შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ჩაატარა.

© დევნილების ახალი წელი

მამშვემდის ურიაშული დასახლებში შესვლის-
თანავე შემოგვსმა... ზამთარია, თოვლი არ არის,
თუმცა მინც საკმაოდ ცივა, მათ კი გასათო-
ბად ცეცხლი გაუჩაღებიათ, ასანთმომარჯველები
დარბიან, შუბუნებს აფეთქებენ და ხალისობენ.
წინასახალწლო „მრძოლა“, ალბათ, აგვის-
ტოს ომს აივწყებთ, როშელიც, როგორც ყველ-
ავენს, მათაც სიზმარივით ახსენდებათ... შირ-
იელ რიგში, რაც თვალში მომხვდა, დიდი ნაძის-

ხეა, რომელიც დასახლების ცენტრში დაუდგამთ. ქუჩები გვიანტური ჭაღებით არა, მაგრამ ფერადი ნათურებით მოურთავთ. საშიშროება განწყობას მატებს პატარა, ერთ თანერგე გამოჭრილი სახლების მონათულობაც. ეს წეროვანია – დევნილების დასახლება, სადაც 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად ცხინვლიდან და ახალგორიდან დევნილი 3 ათასამდე ოჯახი ახალი 2011 წლის შესახვილად ემზადება...

ველოდებოდით და მათთან შესახვედრად განსაკუთრებით ვეზმადობდით, ღონის თავს მეკვლისთვის ვხარშავდით, ხაჭაპურებს ვაცხობდით, ღიღი ოჯახი ვართ და ყველა ერთად ვცხოვრობდით, საახალწლო სამზადისშიც ყველა გონივრული... 12 საათს სახლში ვნიჭდებოდით და მერე მეზობლებთან მისალმლად გადავდივით...

წლის შემოდგომაზე დიდი ქორწილის გადახდას ვაპირებდით, თუმცა როგორც ჩვენ ვვინდოდა, ისე არ მოხდა. მე სამხედრო პირი ვარ და ომში ვმონაწილეობდი, რამდენიმე დღე სატელეფონო ვაპირანზე ვერ გავდიოდი, უკვე ყველას გადაწერილი ჰქონდა იმედი, რომ ცოცხალი დაგვრუნდებოდი... ღმერთის წყალობით უვნებელი ვარ, ჩემ ოჯახთან ერთად მზდენერად ვცხოვრობ. მე და ნათია რამდენიმე თვეში შვილს ველოდებით და ჩვენს მშობლიურ სოფელს უკვე ნამატი დაუვრუნდებით... კიდევ ერთხელ თავიდან ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. ყველაფერი, ცუდიც და კარგიც, ძველ წლებს გავატანეთ და მივყოლოთ – ჩვენი მიწა, ჩვენი ხეობა, ჩვენი საშინელი დღეები... ახალ წელს მშვიდობის იმედით გხვდებით... უკეთესი მომავლის იმედი გვასულდამოუღებს... და გვკერა, რომ ახალი წელი ბევრ სიხარულსა და სიკეთეს მოგვითმას” – დასძინა გიორგიმ.

დევიზებთან ჩემი სტუმრობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მას- პინძლეს მივუვლიდიმე და ჩას- ვლა დავაპირე. ვჩქარობ, მეგობ- რებს ველოდები, ახალი წელი მათთან ერთად უნდა აღვნიშნო... ჩემი რესპონდენტების მსგავსად მეც ტკივილიანი მოგონებები მა- კავშირებს წარსულთან, მეც გამახ- სენდა ჩემი სოფელი, სადაც სა- ახალწლო განწყობას ორმაგად შე- ვიგრძნობდი... ახლა?! ახლა კი- დევ ენთხელ თავიდან ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. ყველაფერი, ეუ- დიც და პარგიც, ყვენილია თუ არა, მართლაც, გავატანეთ ძველ წელს. ახალ წელს კი ახალი იმედებით ვხვდებით – მშვიდობა და მხო- ლოდ მშვიდობა... ახალი წელი, სამედიცინო, ყველაფრის მიუ- ხედავად, მინიც მოვა...

თინათინ ზორცვაძე

ერთ-ერთ ოჯახს ვესტუმრე. კარი ზუა ხნის ქალბატონმა გამიღო, თავშეკავებულად გამიღიმა. დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცე და მისი დაუწინებელი თხოვნით სახლში შევედი (აქ ვიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართველები სტუმართმოყვარე ერი ვართ). დისასახლისმა თავისივე ასაკის მეუღლეს დაუძახა, სტუმრები გვყავს, მოდი მიესალმო.

ოჯახის უფროსი დიმილით შემ-
ვხვდა. სასტუმრო ოთახში შემი-
პატიჟეს. გამათბობელთან სა-
წარძელზე ჩამოვკეცი, სადაც 5
წლის მათე და 2 წლის მართა
თამაშობოდნენ. ბავშვებმა ჩემი და-
ნახვისთანავე თამაში შეწყვიტეს და
გვერდით ჩამომისხდნენ. პატარები
ტბილევითი დავასაჩქერე და აღ-
ვილად დამიმეცობოდნენ, საღერ-
სასწაულოდ გამოწყობილმა პატე-
რმა მართამ ნადებისესთან თამა-
ში განაგრძო, მათი კი ლეჩქისგზ



მიყვებოდა და უამრავ კითხვას მის-
ვამდა.

„თოვლის ბაბუა არ მოვა? ტელევიზორში რომ აჩვენეს, ისეთი წითელი ბაბუა ჩემთან არ მოვა?“, – მივხვდი, მათე „ლაპლანდიელ სანტა კლაუსზე“ საუბრობდა.

დასახლისმა სტუმრებისთვის გადანახული ტკბილეულით სუფრა გაშალა და მიმიპატიჟა. მაგიდის თავში ოჯახის უფროსი დაჯდა. რამდენიმე ტრადიციული ქართული საღებავრძელოს შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, იმის მტკიცება არ დაუწყია, როგორ უყვარს თავისი მხარე და მთლიანად საქართველო, არც დაბომბილი სოფლები უხსენებია, და არც ის მოუყვარა, როგორ გადაურჩნენ ოკუპანტების ტყვიას. ომზე არა, თუმცა ომის შემდეგი პერიოდი კი დიდი სიხარულით გაიხსენეს „მართა ომის შემდეგ დაიბადა, 2008 წლის სექტემბერში და ჯერ პატარაა და თავისი მშობლიური სოფლის ქვემოთის შესახებ ზეფრი რამ ან იყოს. მართას დაბადება ოჯახისთვის ისეთი ზედნიერება იყო რომ, ცუდის გახსენებას ყველა ვერიდებოდათ, და ღმერთს მაღლობას ვწირავდით იმისთვის, რომ სოფლიდან ცოცხლები გასოვდით. ფაქტობრივად მართას დაბადებით გამოწვეულ-



მა სიხარულმა გადაფარა ის უდიდესი ტკივილი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი მაშინ განვიცდიდით. ყველაფრის მიუხედავად ზღინიერებში ვართ და ჩვეულ რიტმში განვაგრძობთ ცხოვრებას. მიყვარა გვაკლია, მაგრამ სულიერად არ ვტყდებით. ჩვენ ძლიერი ხალხი ვართ” – გვითხრა ოჯახის დიასახლისმა და დასძინა რომ მათი ოჯახი რომდენსადაც თუები კიდევ ერთ პატარა ოჯახის წინეს ფლორია...

ოჯახის უფროსებმა გელა და ლალი მინდიაშვილებმა ბოდიში მომხიადეს – სათანადოდ ვერ მოვემზადეთ საახალწლოდ და მხოლოდ გომინაყით, ხილთა და ტბილელეთი ვაცილებით 2010 წელსო... გაისინეს როგორ ხედებოდნენ ახალ წელს თავიანთ სოფელ ქემერტში: „იქ ამ დროს უკვე თოვლი იდო... სახლში შეშის ღუმელი გიბვიზებდა... ყველა ფაციფუცობდა, სტუმრებს ქალაქიდან

მთელი ხეობა საახალწლო სამზადისით იყო გართული...“ გულდაწყვეტილები იხსენებდნენ წარსულს დევნილები... თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, იმედი აქვთ რომ ხვალენდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება...

მინდა მშვილეს დავემშვიდობე და მათგან ემოციებით დატვირთული წამოვიდე... ნათია და გიორგი ზანგალაძეების სახლს მივუახლოვდი, ზვერა ან მიფიქრია და გაღაყყვით მათთვის ახალი წელი მიმლოცა...

ნათი და გიორგი ჩემს მემოზღად
ცხოვრობენ და მათმა სიყვარულ-
მა ბევრი განსაცდელი გადაიტანა,
თუმცა, ახლა ისინიც შედინიერები ანი-
ან და ახალი წლის შესახებედრად
ემზადებიან... **გიორგი ზანგალაძე:**
„ახალი დაქორწინებულები ვართ,
აქ მშობლებთან ერთად ვცხოვ-
რობთ... მე და ნათია ომის დროს
შეყარებულები ვიყავით და 2008

მონატრება

მანანა ჩიტიშვილი ქნის ხეობაში, ახალგორის რაიონის სოფელ კორინთაში დაიბადა და გაიზარდა. პოეტი მრავალჯერ შეხვედრია ახალ წელს მშობლიურ სოფელში, მაგრამ ახლა დევნილია და ტკივილით ახსენდება საკუთარი კუთხე, მიწა-წყალი. ახალი წელი ქართლის ბევრ სოფელში წლეულს ცარიელ სახლებში დადგება...

პოეტის ენატრება უწინდელი ქართლი – პირველისწერით სათქმელი და სახსენებელი. ამ მონატრებით გვესაუბრა ახალ წელზე და პაპის დალოცვით მიესალმა სრულიად საქართველოს!



შეშინებული ტაბაკი

31 დეკემბერს დილაადრიანვე უჩვეულო ფესფუსი იწყებოდა. ყველა სახლიდან ისმოდა საცნის ტყავა-ტყუვი, ვარცლში ცომის ტლაშუნი. ისინი ყველა ოჯახის სოფლური ფურნე, თონეში ფიჩხი ტყაცუნობდა. სახლიდან, ყოველდღიურ სახმარად ყველა ოჯახს სოფლური ფურნე ჰქონდა და იქ გამოცხვარ პურს გეახლებოდათ, ჭირისა და ლხინის სუფრისთვის თონე უფრო უპრიანი და მიღებული იყო. საახალწლოდ უფრო ფურნეს ირჩევდნენ და გამოხედილ, ნახუნებ ფურნეში ქადა-ნამცხვარს და საახალწლო მუდის კვერებს თუ მასილებს აცხობდნენ.

ოჯახის ყველა წევრისთვის ცალ-ცალკე მზადდებოდა მუდის კვერები – ჩამიჩჩარჭობილი პურები. ცხვებოდა ოჯახის მუდის-კვერი – მრგვალი, გულამოღებული. აცხობდნენ – ნამვალს, სახრეს, სადღობელს, ძროხის ძუძებს, კავს, ქათმების მუდისკვერს – სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ცომისგან გამზადებული სხვადასხვა ფორმის საგნებს, ვისაც რა შეეძლო და შემდეგ საახალწლო სუფრაზე საპატიო ადგილს მიუჩენდნენ ხოლმე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის მფარველის „მასილას“ მომზადება და გამოცხობა იყო. მასილას გამოსახვდნენ განზე ფეხებამდგარ მამაკაცის ფიგურად, მარჯვენა ხელი რომ გაშლილი ჰქონდა, მარცხენა კი ამაყად და ზვიადად დოინტუემოყრილი. საახალწლო სუფრაზე ყველაზე საპატიო ადგილი „მასილას“ ეკავა, მის წინ სანთლები ინთებოდა და უფალთან ერთად ოჯახის წინსვლას და მარაქას მასილასავე შესთხოვდნენ ოჯახის უფროსები და მემბრა-პაპები.

საღამოს ოჯახის უფროსი მამაკაცი ღორის თავს კიდევ ერთხელ ამარმარებდა ცივ წყალში და დიდი ქვამით ცეცხლზე შემოდგამდა, დედები და მემბრები გომინაყს დაუტრიალდებოდნენ და ხშირ-ხშირად უტატანებდნენ პატარებს, ადუღებულ თავს რომ დასტრიალებდნენ და მღუღანეში დაფუფქულ თითის წვერებს შემერვით ივრთებოდნენ.

მეზობელს თუ რამე ჭურჭელი და სახმარი ნივთი ჰქონდა ნათხოვარი, პატარებს დააგზავნიდნენ – წადი, გამოართვიო! ყველას სწამდა, რომ ოჯახის გარეთ დარჩენილი საციქველი უყარათოდ და უმარაქოდ წაიყვანდა მთელ მომავალ წელიწადს. საღამოს გაამზადებდნენ „შე-

მოსაკვლევ“ მომცრო ზომის ხახალს ან ტაბაკს, ქათქათა ტილოს ნაჭერს გადაათარებდნენ, მუდ დაწყობდნენ სანთლებს, ჯამით თავს, გომინაყს, ტკბილეს, ჩურჩხელას, პურს, მოხარშულ ღორის თავს, ქადა-ნამუქს, მომცრო ჭურჭლით ღვინოს, შე-

ბებრ თოვებს დააქუსებდნენ და ქართლში ახალი წელი დგებოდა!

მოსაგორებელ მუდის კვერს...იმ ღამით, ახალი წლის დადგომისას საგულდაგულოდ გაჩმენდილ-გაპრიალებულ მემბრ თოვებს დააქუსებდნენ, თითო ჭიქით დაილოცებოდნენ, სანთელს დაანთებდნენ და ლხინ-ქეიფს მეორე დღისთვის გადადებდნენ.

ასე თითოდად დამიხარდი...

რომონს კი ინათებდა, ოჯახის სხვა წევრები ძილ-სიმზრებს იყვნენ მიცემული, ოჯახის უფროსი

მანანა ჩიტიშვილი მრავალ ახალ წელს, მამულო!

მრავალ ახალ წელს, მამულო, კალთას გივოცნი ფრთხილად, მალღის სიცილში გათენდეს შენი ახალი დილა.

მრავალ ახალ წელს, მამულო, გარჯით, ხვნითა და თესვით, სულ ნერგად ამოზრდილიყოს შენი ტოტი და ფესვი!

ლექსო ქართული, თავს გადგას ნათელი მზის და მთვარის, მამულის მჭესთან ჰკიდისარ, როგორც ჯერდაის ფარი.

ამოდი, ამომქუხარდი, ასგზის გადავრჩით შენით, მთვარისფერ ტანზე დაკრული ბევრი ნახმლევი გშვენის.

მრავალ ახალ წელს, მამულო, კალთას გივოცნი ფრთხილად, მალღის სიცილში გათენდეს შენი ყოველი დილა!

ცეცხლს გააჩაღებდა, ფეხაკრეფით გავიდოდა გარეთ, ხელ-პირდაბანოდა და სადღესასწაულოდ ჩაცმული გაიტანდა შემოსკვლევ მორთულ-მოკაზმულ ტაბაკს. თუ თოვლი იქნებოდა, მუჭით თოვლს შემოიყვარებდა, მძინარეთ სათითაოდ მიუკვლევდა – ასე თერთად დამიხრდიო, მიაყოლებდა ცივი თოვლისგან ავიღებულ ქალ-მალღებს, სანთლებს აანთებდა და მუდის კვერს იატაკზე დაამზრიალებდა – ასე წაღმა წავიდეს ამ წელს ჩვენი ოჯახის მუდ-ილ-მალღიო. დიდი სიხარული იყო, თუ კვერი ჩამიჩმებით ზემოთ, წაღმა დაეცემოდა, უკუღმა დაცემულ კვერს წუხილით და შიშით ხედებოდნენ.

შემომკვლევები ოჯახის წევრებს გომინაყის ნაჭერს ან კოვზით თავს ჩაუდებდა პირში – ასე ტკბილად დამიხრდიო. ქალე-

ბით შემოვიდოდა. ოჯახის უფროსი კარებში გომინაყის ნაჭერს ან კოვზით თავს შეაგებებდა – სიტკბო შემოგეტანოსო. მეკვლეც ოჯახის ყველა წევრს ტკბილეს დააბერებდა – ასე ტკბილად დამიხრდიო!

მეკვლეს გაშლილ სუფრასთან მიიწვევდნენ. წინ ნარჩევ ტკბილეს და საჭმელ-სასმელს გაუშლიდნენ და ოჯახიც მაგიდას შემოუსხდებოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეკვლეს დალოცვას, რაც არ უნდა პატარა ასაკის ყოფილიყო. მეკვლედ შესახელებულს ოჯახში დალოცვას ასწავლიდნენ. სუფრაზე სანთელს რომ აანთებდნენ, პირველ სადღეგრძელოს მეკვლე იტყოდა, დალოცავდა ოჯახს, ხვავს და მარაქას, გამრავლებას, ჯანმრთელობას, მდინერებას უსურვებდა.

ოჯახის წევრები თავთავიანთ მუდისკვერებს ერთ ლუკმას ჩამო-

ფულობით ან ჩასაცმელით, მოტანილ ლანგარს უცლიდნენ და საკუთარი ხილით და ტკბილეულით უვსებდნენ. ოჯახის უფროსები საჩუქრებს შეძლების მიხედვით ყიდულობდნენ, მაგრამ პატარებს ახალი სამოსის გარეშე არ დატოვებდნენ. თუ ყიდვა არ შეეძლოთ, ახალი წინდებით, მოქსოვილი შარფებით, მუდატანებით, ქუდებით ან ხელთათმანებით ასაჩუქრებდნენ.

გადგომის დღე და საპატიო პასილი

ახალი წლის მეორე დღეს – „მუდობის დღეს“ „ქათმების ახალ წელიწადს“ უწოდებდნენ. ამ დღეს ზემბის ან დედას დილაუთენია ქათმებისთვის საგანგებოდ გამოცხვარი დაფუფქვნილი მუდისკვერი და რჩეული ნაკმაში მიჰქონდა. ფრინველებს ულოცავდა ახალი წლის დადგომას, მუდის წილის გამოჩვენებას ჩაუთქვამდა და აპურებდა.

მუდობის დღესაც მოდიოდა შერჩეული მეკვლე. მასაც საგანგებო სუფრას უშლიდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მეკვლე წყნარად, რიგიანად მოქცეულიყო. ეტყოდნენ ხოლმე მოუსვენარ ბავშვს: წყნარად იყავი, გიჟი კრუხი მეყოლება, საზღვრიდან გადმოიხტებაო!

ნაძვის ხეს მხოლოდ ბავშვებიან ოჯახში რთავდნენ. ხეზე კიდებდნენ ტკბილეულს და შინ გამზადებულ სათამაშოებს, ავეთებდნენ მოზრილ ხის ჯვარსაც, რომლის ერთი წვერო სადგამით მოლოვდებოდა, სამ წვეროზე კი შერჩეული, ლოყაჩითელი ვაშლები იყო წამოცმული. ამ ჯვარს რთავდნენ ფერადი ლენტებით, კანფეტებს ჰკიდებდნენ და გამოსაჩენ ადგილზე დგამდნენ.

ასევე, გამოსაჩენი და საპატიო ადგილი ეკავა ოჯახის მფარველ მასილას, ფეხებთან ტკბილეული ეწყო. მასილას ნათლისღებამდე ინახავდნენ, ნათლისღებას კი მკერდისა და მუცლის არეში ჯვარს ამოჭრიდნენ და პურის ამბარში ჩააგდებდნენ – მოიღიწეო დოვლათი და პურის სიუხვე გვექნებაო.

გამომცხვარ ნამვალს, კავს და სხვა სამეურნეო გამოსახულებებს ჩიტებს დაუფვნიდნენ და გადაუყრიდნენ – ყანა და მოსავალი არ გაგვინადგუროთო.

ესაუბრა
თამარ შაიშვილაშვილი



ატეხავდნენ, თავლში ამოაწებდნენ და იტყოდნენ – სიტკბო და სიკეთე დაგვებდოსო და პირველ ლუკმად მიირთმევდნენ. მუდისკვერი მხოლოდ მის პატრონს უნდა შეეჭამა მომდევნო დღეებში.

ოჯახი რომ დაპურდებოდა, ოჯახის უფროსი აიღებდა გამომცხვარ სახრეს, კავს, ძროხის ძუძუს ფორმის პურს და საქონელთან მიდიოდა. ჯერ ამ გამომცხვარ ცომეულს შეაჭმევდა პირუტყვს, დალოცავდა, მერე პურსა და მოსავალს ინატრებდნენ, მიულოცავდა პირუტყვს ახალ წელიწადს და წინა დღით საგანგებოდ შერჩეულ წმინდა თივას მიუყრიდა, გამოუვცოდა სადგომს, წყალს და ალევინებდა საქონელს.

მეკვლეს ოჯახიდან ტკბილეულის, ფულის ან საჩუქრის გარეშე არ გაუშვებდნენ. ოჯახი შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებდა

პაპის დალოცვა

ახალი წლის დილას პაპაჩემი ხელ-პირს ადრიანად დაიბანდა, სუფთა სამოსის ჩაიცვამდა, აანთებდა სანთელს, აგუზგუზებულ მუხანაში ღამიანად შეკეთებულ რცხილის კუნძს მძიმე საჩხრევს დაჰკრავდა და დინჯი, გემრიელი ქართულით მიაყოლებდა: „ამდენი ხვავი, ამდენი მარაქა, ამდენი პურ-ღვინო, ამდენი ცხვარი და ძროხა, ამდენი აკვანი, ამდენი მალღი და ქალი, ამდენი სტუმარი და კეთილი მიმსვლელი-მომსვლელი! ამდენი ქორწილი და საძირკველ-თავანი!

ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ჩვენს ქვეყანას, მოყვარე უმრავლეს, მტერი დაუმარცხე! მშვიდობა და სიყვარული არ მოუშალო! არ გამოულოო გუთნის დედა და ვაზის მწინდავი, წიგნის კაცი და ჩუქურთმის მომხარატებელი, ოსტატი და მშენებელი, მესრე და მჭედელი, ციხე და კედელი, ტაბაკი და ვარცლი, ქალი და კაცი, ჭიგო და წალამი, სიტყვა და სალაში!

ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი ავის მდომი და ავი თვალით მაქცენალი! შენი წყალობა არ მოაკლო ერსა და მერსა, ქულოსანს და მანდილოსანს, მეზობლის ჯერსა და ჩემს ოჯახს!”

© იმუხარეაოლით ურთიერთარს, ძარბაქაოლი

პაპოზმომბის წინაშე მუდამ იდგა და დღესაც დგას მეტად მნიშვნელოვანი საკითხები – რას წარმოადგენს ადამიანის ცხოვრება? ვინ არის ადამიანი? საიდან მოვიდა, ან საით მიდის იგი? ეს კითხვები მუდამ აწუხებდა კაცობრიობის ისტორიას. მძაფრი ინტერესი დღესაც არ შენელებულა და მომავალშიც არ შენელებულა.

ადამიანი არის არსება, რომელიც ღმერთმა შექმნა ხატად და მსგავსად თვისა. სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადამიანისა – ესაა მთავარი, ამას გვასწავლის სახარება, საღვთო წერილის შინაარსი არის სწორედ სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადამიანისა.

ქართველი ერი და უძველესი ქართული ენა სათავეს პრეისტორიული ხანიდან იღებს. ის, რომ ჩვენ, ქართველებმა დღემდე მოვალეობით ჩვენი ცხოვრების წესითა და ტრადიციებით, ჩვენი წინაპრების ღვთივსათნო არჩევანის შედეგია: მოციქულთა მიერ ნაქადაგებო ქრისტიანობის აღიარებამ სხვადასხვა ქართველური ტომი საერთო რწმენით, ერთი ენით, ერთი კულტურით ერთიან ქართველ ენად შეადუღა და უნიკალური და მრავალფეროვანი ქართული ცივილიზაცია შექმნა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ზოგადქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

რომ გადავხედოთ ჩვენს წარსულსა და აწმყოს და თუ გვინდა, დავინახოთ ჩვენი მომავალი, მივხედებით, რომ, ერთადერთი ძალა, რომელმაც გადაარჩინა საქართველო და ქართველი ერი, ეს არის სიყვარული, რომლითაც უფალმა დაგვაჯილდოვა.

სიყვარული თავისი ჭეშმარიტი სახით სულიერი სამოთხეა. ეს არის თბილი, მშვიდი, კეთილმოსურნე, ცოცხალი, მარად მოძრავი და სიხარულისმომგვრელი მდგომარეობა, რომელიც ჩვენს სულს ეწვევა არა დროებით, როგორც სტუმარი, არამედ იგია მდგომარეობა მუდმივი, მყარი, ღრმად ფესვგადგმული, არსებითად განუყრელი, როგორც, მაგალითად, სუნთქვა ან გულისცემა და ვისშიც ეს ძალაა შთანერვლილი, იგი ნეტარებს ღრმა, აღუშფოთებელი ნეტარებით.

ნეტარია ადამიანი, რომელსაც ღვთის სიყვარული აქვს, რადგან მასში უფალი მკვიდრობს, რამეთუ ღმერთი სიყვარულია და ყველას, ვისაც ღვთის სიყვარული აქვს, ღმერთი მასთანაა მარადის და ვისთანაც ღმერთია, მას ძალუქს ყოველგვარი მტრის დაძლევა. ვისთანაც სრული სიყვარულია, იგი არავის შეურაცხყოფს, არც მცირესა და არც დიდს, არც მდიდარსა და არც ღარიბს, არამედ მას თავისი თავი ყველაზე უარესად, ყველაზე ნაკლებად და ყველაზე უღირსად მიაჩნია, იგი ყველაფერს იტვირთავს. ყველაფერს სიითმენს. ვისაც სიყვარული გააჩნია, ის მოყვასზე არ იმედიდურებს, არც იბატონებს, არც არავის განიკითხავს და თუკი სხვა ვიმე განიკითხავს მოყვასს, ის არ გახდება მისი თანაზიარი, არამედ ამხელს და მოაქცევს.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, რომ ღმერთი არის სიყვარული და აი, უფალმა თავისი ნაწილი, თავისი თვისება მოგვმალა ჩვენ მიუხედავად იმისა, რომ არ ვართ ამ მადლის მიღების სიმალღებე, მაგრამ უფალი ხედავს გულსა კაცისასა, ხოლო ადამიანი ხედავს სახესა კაცისასა. ვმადლობ უფალს, რომ

ქართველი ადამიანი დაჯილდოებულია სიყვარულით და არა სიძულვილით, ქართველ ადამიანს არ შეუძლია გულით ატაროს სიძულვილი, ქართველი ადამიანი არის სულიერი სავანე სიყვარულისა და ფიქრობ, რომ თითქოს ყველა, ყოველ შემთხვევაში მრავალი ჩვენგანი, იმდენად დაჯილდოებულია ამ გრძნობით, რომ მთელი მსოფლიო ეტევა მის გულში.

ჩვენ ვცხოვრობთ ურთულეს დროში, მართალია, საქართველოს არასოდეს მოუღებია მტერი, მაგრამ წარსულში ქართველმა კაცმა იცოდა ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე. ახლა კი ამის გარჩევა ძალიან ჭირს. ერთ იაპონურ ლექსში ნათქვამია, მოვიდა გაზაფხული, აყვავდა ალუ-

ღვთის იმედით იყო, რადგან „არა გეცნოვნი შენ, სიწმინდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაო. არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენი, მართლმადიდებლობაო“, – ასეთი იყო დავით აღმაშენებლის სულისკვეთება: სულისკვეთება იმ მეფისა, რომელმაც ღმერთის დახმარებით შეძლო ჩვენი სამშობლო ექცია ყველა დროის ქართველისათვის საოცნებო სახელმწიფოდ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ დავითის საქართველოში მშვიდობიანად ეცხოვრათ მუსლიმებს, ებრაელებს, სომხებსა და სხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობებს.

ეს არის ჩვენთვის გაცხადებული მისია ქართველი ერის, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა მხნეობითა და დიდი თავგან-



ქართველმა ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიშნა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და

მკვიდრად გაბნეული ჯვარი, მას აქვთ გულში ჯვარი და ხელში ხმლით იმრძოდა. იღვწოდა, სისხლს ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი მნელმედ ვერავინ შეაცვლევინა.

ქართველი ადამიანი ალალი და პატარა ბავშვით მიმდობია. უფალმა იცოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობა აღვილად მოიკიდებდა ფეხს, ღრმად გაიდგამდა ფესვებს მისი სახარება. ქართველი ხალხის ისტორია დაკავშირებულია (იგი ხომ „ომების ისტორიაა“) სარწმუნოებისათვის თავდადებასთან და ამასთანავე სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლასთან. მიუხედავად სამყაროს პროგრესისა საქართველო არასდროს, განვითარების არც ერთ ეტაპზე არ ჩამორჩენია მსოფლიოს ცივილიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ისტორიულად არსებობდნენ უზარმაზარი სახელმწიფოები თავიანთი კანონ-


მდებლობებითა და ტრადიციებით, მაგრამ ისინი დღეისათვის უკვე არ არსებობენ, ისინი ისტორიაში ცივილიზაციის აკვნად იხსენიებიან, მაგრამ მათგან არაფერი შემოგვრჩენია, გარდა ისტორიული ფაქტებისა. რატომ აღმოჩნდა ჩვენი საქართველო ასეთი სიცოცხლისუნარიანი? რამ გადაგვირჩინა ომებში ნაწრით ურდოებთან ჭიდილში ასე განწირული პატარა ივერია?

ექვგარეშეა, ღვთის წყალობამ? ეს წყალობა კი იმიტომ გადმოვიდა ამ პატარა საქართველოზე, რომ მან უცვლელად და უზიწოდ შემოინახა ჭეშმარიტი რწმენა უფლისა, რომელმაც რაიმე ცვლილებები კი არ შეიტანა საუკუნეების განმავლობაში, არამედ მორჩილად, სიყვარულითა და თავდადებით მიჰყვებოდა უფლისავე საველ ვიწრო და ეკლიან მილიკებს. ასე შევიწარმენეთ მორალი და სულიერი ზნეობა, ტრადიცია და ადათი, თვითმყოფადობა და ეროვნული ფასეულობანი. თაობიდან თაობას დიდი სიფრთხილით გადაეცემოდა წმინდა მამათა სწავლება, მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დადგინებული კანონები, რადგან მას სწამდა, რომ ეს იყო უფლისმიერი შთაგონების ნაყოფი, რომელიც წმინდა მამებმა სიწმინდით ცხოვრების გამო მოიხვეჭეს.

არ შეიძლება ითქვას: – გვიყვარდეს ღმერთი, მაგრამ არ გვიყვარდეს ადამიანი... უსიყვარულოდ შეუძლებელია ცხოვრება, უნდა გვიყვარდეს ქართველებს ერთმანეთი, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი. გვიყვარდეს, თუ გვინდა ვიპოვოთ ღმერთთან მისასვლელი გზა... თუ გვინდა ვიყოთ მედნიერნი, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებს ადამიანი მადლსა ღვთისასა, სულიერად გაძლიერდება და ამაღლდება.

გილა ცაავა,
თსუ-ის ლექტორი

სიყვარული არის ჩვენი სიღრმეში, მას პერაფერი გამოვს



ბალი, მაგრამ მოვიდა თოვლიც და უკვე ვეღარ ვარჩევ, სად არის ყვავილი და სად არის თოვლი. სწორედ ასეთი დრო დაგვიდგა, ჩვენ ვეღარ ვარჩევთ სად არის თოვლი და სად არის ყვავილი, სად არის სიკეთე და სად ბოროტება. ამიტომ იმის გასარკვევად, თუ სად არის ჭეშმარიტება. უფლის გზაზე უნდა დავდგეთ, ხომ თვითონ უფალი გვეუბნება: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

„მართალია, ძნელია აპატიო ადამიანს, ვისთვისაც მრავალი სიკეთე გავიკეთებია, ვისთვისაც არაფერი დავგანებია. თვით სიცოცხლეც კი, ხოლო მას სამაგიერო ბოროტებით გადაუხდია. მაგრამ თუ ჩვენ ჭეშმარიტი ქრისტიანები ვართ და მხოლოდ სახელს არ ვატარებთ ქრისტიანებისას, მაშინ მაინც უნდა შევძლოთ პატიება და იმ ღვარძლის ამოგლეჯა გულიდან, რომელიც ბოროტება ხელმა დათესა“, აღნიშნა ქართველი ერის სულიერმა მამამ, ჩვენმა პატრიარქმა 1991 წლის 17 თებერვალს, მიტევების კვირას, სიონის საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას.

ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ერი მტერთან გამუდმებულ ომებში მხოლოდ

წირვით შეასრულეს, თუ როგორ ვუერთოთ ამ გზას, ეს დიდად არის დამოკიდებული ჩვენს მომავალ თაობაზე.

ღიას, შინაგანად ასეთია ქართველი კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ოდესმე შეეგუება სამშობლოს ერთიანობის ხელყოფას, სამშობლო დედამიწის ის ადგილია, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს, ამა თუ იმ ერს ღვთის განგებულებით ემთხვევა.

ქართველი ადამიანი დაჯილდოებულია სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭით: ალბათ, ამიტომაც, რომ ჩვენ წილად გვხვდა მსოფლიოს უდიდესი სიწმინდე, უკრველი კვართი უფლისა, რომელიც სიმბოლოა ქრისტეს განუყოფელი ეკლესიისა, რომლის სწავლებასაც ოცი საუკუნეა შეურყევლად იცავს ჩვენი ხალხი.

დავესესხები მწერალ ოტია იოსელიანს – მაცხოვარს 12 მოციქული ჰყავდა და სულ მთლად ნაწილებად რომ დაგენაწილებინა და მიმოგვფანტა დედამიწაზე, საქართველოს მათი ერთი ფრჩხილიც კი არ შეხედებოდა. მაგრამ სამი მოციქული იყო საქართველოში: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მათათა მოციქული – ბრძანებს მწერალი.

© იმუხარეაოლი

დედა ჟარა თოვლის

ბაბუის ნახვლად

გვილა ბავშვი ელოდება საჩუქარს თოვლის ბაბუისგან, რა ქნა იმ ბავშვებმა, რომლებიც ცხელ ქვეყნებში ცხოვრობენ, სადაც არ არსებობენ თოვლის ბაბუები?



მსოფლიოში არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც გამგონი ბავშვები არ ღებულობენ საჩუქრებს სახანძროდ, – გვამშვიდებს თოვლის ბაბუა.

– ყველა ქვეყანაში არიან ჩემი კოლეგები, რომლებსაც სხვადასხვა სახელები ჰქვიათ: სინტერკლასი (ნიდერლანდი), პერ ნოელი (საფრანგეთი), აგიოს ვასილისი (საბერძნეთი), პაი ნათალი (ბრაზილია, პორტუგალია), დედა ჟარა (აფრიკა), ღვთაება ლაკში (ინდოეთი), ბიძია კოლედა (ბულგარეთი).


თი). ყველას ჩამოთვლას ერთი გაზეთი არ ეყოფოდა. რუსეთის ხალხებსაც ჩემს გარდა ჰყავთ თავიანთი ეროვნული სახანძრო სასწაულთმოქმედები. თუმცა, ახალი წლის დღესასწაული ყველა ქვეყანაში როდი ემთხვევა! იანვარს. ბევრი მუსლიმანური ქვეყანა ამ დღესასწაულს აღნიშნავს გაზაფხულზე (საჩუქრებს ბავშვებს იქ ზიზირ ილიასი ურიგებს), ჩინეთი კი – თებერვალში (სასწაულთმოქმედს აქ შენ დან ლაოფენს უწოდებენ).

საქართველოს რესპუბლიკა

დაიჯესტი

„უპარკებელი“ აინომოშავები

დადაინფინაზი სიცოცხლე ცილუბის გაჩენით დაინფინ. თავად ცილუბი კი აინომოშავებიდან შედგებიან. ისევეა კითხვა: როდის და როგორ გაჩნდა პირველი აინომოშავები? გაციონირება და დადაინფინა, რომ ეს კალინა დიდი ხნის წინათ მოსდა. კამერიაშაველი პერიოდის ქანებში, რომელთა ასაკი სამი მილიარდი წელსაა მეტი (ქ, ამერიკელმა მეცნიერებებმა ოცდაორი აინომოშავები აღმოაჩინეს. ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ განაგრძებულ აინომოშავების თანამედროვეების ანალოგიური სტრუქტურა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ისინი იოტისოდენადაც არ შეცვლილან!



„ყაყაჩოები“... 50 მილიონად

კაიროს მუზეუმშიდან ვინანტ ვან გოგის შედევრი, მხატვრული ტილო „ყაყაჩოები“ მოიპარეს.

თავდაპირველად დიდი ჰოლანდიელი მხატვრის სურათის მოქანა პოლიციის რთულ სამუშაოდ არ მიიჩნდა. როგორც გაირკვა, ნახატის ძროგის დადგენამდე, საბამოფნო დარბაზი მხოლოდ ცხრა კაცმა მოინახულა, მათ შორის ორ-ორმა იტალიელმა და რუსეთელმა, ოთხმა ესპანელმა და ერთმა ეგვიპტელმა ქალიშვილმა სტუდენტმა. თანაც საპარტოლაშვილეს ეგონათ, რომ გამტაცებლები მუზეუმის სათვალთვლო კამერებში დააფიქსირეს.



აი, სწორედ ამ დღიწყო სიურპრიზები. აღმოჩნდა, რომ გაქურდვის დროს გარდასამართლო კამერები არ მუშაობდნენ: თურმე მუზეუმის მსახურები მათ საერთოდ არ რთავდნენ მოქმედებულუბისა და უხარისხობის გამო. იმის გამო, რომ იმ დღეს მუზეუმის შენობაშივე მუზეუმის დაცვის სამსახურმა აღგრილება მოახდინა ესპანელთა და რუსეთელთა განხრება, პოლიცია იტალიელთა ქებებს შეუდგა.

ისინი იმავ დღეს კაიროს საერთაშორისო აეროპორტში დააპავეს. ეგვიპტის კულტურის მინისტრმა ფარუქ ჰუსეინი საზოგადოებრივ პრესაზე უფრო ამაღლი ტილო ნაპოვნია... მგზავი დაპავებული ბარბი „ყაყაჩოები“ არ აღმოჩნდა. მიუხედავად გამტაცებულმა მინისტრმა ტელევიზიით გოფიში მოიხადა.

ჯერჯეროვით უცნობი მეცხრა მნახველის, ეგვიპტელი სტუდენტი ქალიშვილის გედი, რომელსაც პოლიცია დღემდე უშედეგოდ დაეძებს.

სხვათა შორის, ვან გოგის „ყაყაჩოები“, რომელიც 50 მილიონ დოლარად შეფასებული, ერთხელ უკვე მოიპარეს შორეულ 1978 წელს და მის მოძებნას სამართალდამცველებმა ათი წელი მოანდომეს.



როსა ასოები თავისით „ტრიპლდებიან“

მსოფლიოში გაშვების დაახლოებით 10 პროცენტი ცაციაა, რის მიზეზი შეიძლება განეტიკური იყოს (როცა ერთი ან ორივე მშობელი ცაციაა, ან პათოლოგიური, რაც თავის ტვინის უზენაეს ნაწილში დაზიანებასთანაა გამოწვეული და უანგაღის უპარისოვას უპავერდება.



გარდა იმისა, რომ ცაცია გავრავლებით თავისთავად უფრო მგრძნობიარე არიან, მათში რიგი წმინდა ტექნიკური ხასიათის სიმკვლეის დაცვა უწყვეტია. ისინი ხშირად ურევინებენ მართლმადიდებლობას, რომელიც ცაციათა დამკვირვებებს, — ამოვს ფსიქოგენეტიკის კონსულტანტი ვერონიკა პატრინი. — მათ დიდი ზანტაჰის უნარი და კარგად გამოხატული ხატოვანი აზროვნება აქვთ, საგებრიოდ, ძნელად იმასწავლებენ ერთმანეთთან აზროვნებაზე და უპავერდება სიტყვებს, გამრავლების ტაბულას.

თავისი წერის განსაკუთრებული მანერა ერთმა ცაცია გავრავლაცა და დაახასიათა: — რა ვქნა, დედიკო, ასოები თავით ტრიპლდებიანო!

გილოცავთ!

საქართველოს მებრუნეთა საზოგადოებას ულოცავს საგზაო დარბის ყველა მუშაკს დამდებ 2011 წელს. უსურვებს ჯანმრთელობას, სიკეთეს, გედნიერებასა და წარმატებას შრომასა და პირად ცხოვრებაში.

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება ულოცავს საქართველოს ყველა გამომგონებელსა და რაციონალიზატორს, ყველა შემოქმედებითად მაძიებელს დამდებ 2011 წელს. გისურვებთ წინსვლას შრომასა და პირად ცხოვრებაში, გედნიერებასა და ჯანმრთელობას.

გაზეთის შემდგომი ნომერი გამოვა სამშაბათს, 4 იანვარს

იყიდება სასწრაფოდ!

გინა ატანის ძუწაზი (№3, ვაკე) ვრცელი ფართობი (180 კვადრატული მეტრი) (ცხრა-სართულიანის ზედაბაჟი), გინდითსაქოვრებად, გინდითსაოვრებად (სარდაფით, ბარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

აბინდი დღეს

თბილისი.	-1 — +12
ქუთაისი.	+8 — +18
ბათუმი.	+7 — +18
ზუგდიდი.	+3 — +18
თელავი.	+1 — +12

ანაკლოტები

თვითმფრინავის პილოტი ფრანისას აცხადებს:

— კვირფასო მგზავრებო, მივფრინავთ 10 კილომეტრზე, ტემპერატურა გარეთ მინუს 50, გისურვებთ გედნიერ მგზავრობას.

პილოტს დაავიწყდა მიკროფონის გამორთვა, გამერიცხა გაიგონა და ჩაილაპარაკა:

— ახლა კარგი იქნებოდა ცხელი ყავა და კარგი ქალი.

მგზავრებმა მისი ნათქვამი გაიგონეს, სტიუარდესა კაპიტანსავე გაიძვა პილოტის განაფრთხილებადა, რომ მგზავრებს ყველაფერი ესმოდათ. ერთმა მგზავრმა მიიპასხა:

— ყავა არ დაგავიწყდეს, გოგონი.

ნარკომანი კაიფშია და უნდა დედას ასიამოვნოს:

— დედიკო, მიროდის დავიბადე?

— რა მოგივიდა, შვილო, დაგადების დღეც აღარ გახსოვს?



— არა, დე, ეგ კი არა, რომელი საათი იყო, დედიკუნა?

— დამის საათი საათი იყო, შვილო.

— აუ! გაგაღვიძე, ხო დედი!

სვანს და მოუქვდა და სიძე მოკლა.

— რა ქენი ეს, კაცო! — უთხრეს ახანაგებმა.

— და აღარ მყავს და სიძე რა ფხევაად მინდა!

ფუნეკულიორზე ოჯახი აღის: დედა, მამა და პატარა სანდრო. ცოლი ეზენება ქმარს:

— გახსოვს, საყვარელო, ის დღე, ეძვნი წლის წინ ერთმანეთი რომ გავიცანი, აქ ამოვადით?

— მე სად ვიყავი, მამი, მაშინ? — ეკითხება სანდრო მამას.

— შენ, შვილო, სანამ ამოვიდოდით, ჩემთან იყავი, ჩამოსვლისას კი დედა შენთან.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პაროვისკიანის) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლობა:
შპს „თანადგობა“-ი გაზეთი, საქართველოს რესპუბლიკის „გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ. 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იკავდება „კოლორში“ (რეინიგზის ჩინი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო
ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

ბასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
საბრტაძე ქოშულია 899 36-00-35
ბასუხისმგებელი მდივანი
გაგუა ვაშაქიძე 814 33-33-24

ავტორთა საზოგადოებრივი
რედაქციის მიერ შეუკვეთი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.